ხელშეკრულება №74

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

გამარტივებული შესყიდვა

(საქონლის შესყიდვა)

ზესტაფონი 20 **მარტი/2023წელი**

ერთის მხრივ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში _ შემსყიდველი) წარმოდგენილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი ვასილ გველესიანის სახით (მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. N 11) და მეორეს მხრივ საქართველოს ფოლკლორისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი ,,ნატალი"-ს დირექტორის ნარგიზა კიბაბიძის (შემდგომში _ მიმწოდებელი) სახით (მისამართი: ქუთაისი, ვარლამიშვილის ქუჩა N16) ვმოქმედებთ რა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 17/03/2023 წლის N04-222307628 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში -,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. ,,ხელშეკრულების საერთო ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. ,,შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. ,,მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. ,,საქონელი" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად საქონლის შესყიდვა სპორტის ღონისძიებების 2023 წლის ხარჯებიდან (კლასიფიკატორის კოდით -CPV- კოდი: 18412000 - მონეტარული ზღვრების დაცვით;

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტი

3.1. შესყიდვის ობიექტია – საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით მთელი ქვეყნის მასშტაბით, უკვე მეხუთე წელია ტარდება ,,საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა". ოლიმპიადის ფორმატით მუნიციპალური თამაშები ჩაატარა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა 7 სახეობაში. კერძოდ: მინი-ფეხბურთი (ვაჟები, გოგონები), კალათბურთი (გოგონები, ვაჟები), გეზრბენი (გოგონები, ვაჟები), მაგიდის ჩოგბურთი (გოგონები, ვაჟები), ფრენბურთი (გოგონები, ვაჟები), ხელბურთი (გოგონები, ვაჟები), მხიარული სტარტები. მუნიციპალურ თამაშებში გამოვლენილმა ჩემპიონმა გუნდებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ რეგიონალურ და ზონალურ თამაშებში სპორტის ზემოთაღნიშნულ სახეობებში, შესაბამისად საჭიროა გუნდის წევრებისათვის სპორტული ფორმების **(საქონელი) შესყიდვა დანართი N1 -ის შესაბამისად.**

მუხლი 4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1. საქონლის შესყიდვის ფასი განისაზღვრება ლარებში.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწინებული საქონლის შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს - 4 124.00 (ოთხიათას ას ოცდაოთხი) ლარს.

4.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიღება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება.

დ) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ე) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები კეთილსინდისიერად;

ვ) შემსყიდველს ან/და ორი დღით ადრე მიმწოდებელს აცნობოს დაგეგმილი ღონისძიების ჩატარების დრო.

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსთხოვს მიმწოდებელ ნაკლის აღმოფხვრა.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს წუნდებული საქონელი ახლით.

ბ) მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის ,,3.1" პუნქტით გათვალისწინებული საქონელი შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს წერილობითი მოტივირებული პასუხი ყველა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხზე;

დ) კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6.2. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს უდეფექტო, თუ გამოვლენილი იქნება წუნი (ხარვეზი), მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს აღნიშნული წუნის (ხარვეზი) აღმოფხვრა (საქონლის ახლით შეცვლა) დაუყონებლივ შემსყიდველის მოთხოვნისთანავე.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

7.1. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან 2023 წლის 24 მარტის ჩათვლით ტრასპორტირებას უზრუნველყოფს მომწოდებელი საკუთარი ხარჯებით.
7.2. საქონლის მიწოდების ადგილი – ზესტაფონი, წერეთლი ქ. N 11.

მუხლი 8 . ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

8.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის ნაწილისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
8.3. ინსპექტირებას განახორციელებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 მარტის N43 258 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი;.

მუხლი 9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც ფორმდება წერილობით ფორმით და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის დასკვნისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

მუხლი 10. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

10.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში – ლარებში.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
10.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება და ცვლილებ(ებ)ის შეტანა

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ, მაგრამ სამუშაოს ან/და მომსახურების შესრულების ან/და საქონლის მიწოდების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 10 დღისა უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, დაუყონებლივ, (10 დღიან ვადაში) უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. ნებისმიერი შეტყობინება, წერილობითი ფორმით, მხარეთა მიერ ხელმოწერილი უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს და ჩაბარდეს მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.
11.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებ(ებ)ის შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია, ამ მუხლის „11.1." პუნქტის შესაბამისად.
11.4. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმოამდგენლების ხელლმოწერებით.
11.5. ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევა არ ჩაითვლება ბრალეულ დარღვევად, თუ აღნიშნული ვალდებულების ~

შესრულების მიზნით, განსახორციელებელი ქმედება სავალდებულოდ საჭიროებს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო არ ახდენს აღნიშნულზე ხელშეკრულების მხარის მოთხოვნის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვას ან უსაფუძვლოდ უარს ეტყვის ხელშეკრულების მხარეს ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე;

11.6. წინამდებარე მუხლი არ მოიცავს ფორსმაჟორულ გარემოებებს და მათი რეგულირება ხდება სხვა მუხლით."

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (ხელშეკრულების შეწყვეტა)

12.1.ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯამური ღირებულების 0, 02 % ოდენობით.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.2.1. ხელშეკრულება ვადამდე ადრე შეიძლება შეწყდეს:

ა) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

ა.ბ)პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

ა.გ.) მიმწოდებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველს უფლება აქვს დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ მიმართოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

გ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.3. მიმოწდებელი, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში გადაიხდის ჯარიმას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 20(ოცი)%–ის ოდენობით.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2023 წლის 24 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

15.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

15.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17. სხვა პირობები

17.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 02 (ორი) ეგზემპლიარად, რომელსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 18. მხარეთა იურიდიული მისამართები, რეკვიზიტები, ხელმოწერები

შემსყიდველი:
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი

ვასილ გველესიანი

_____

სახელმწიფო ხაზინა: **TRESGE22**

ხაზინის ერთიანი ანგარიში 3001900000

ს/კოდი: **230087045**

მის: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N11

ტელ: 0(492) 25 26 26

მიმწოდებელი:
საქართველოს ფოლკლორისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი „ნატალი“
დირექტორი: ნარგიზა კიბაბიძე

_____

ს/ს „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ნ GE87TB7648936020100004

ს/კ 212757701

მის: ქ. ქუთაისი, ვარლამიშვილის ქ. N16

ტელ: 5 55 95 83 84; 5 97 50 29 95

ელ.ფოსტა: *nargizakibabidze@gmail.com*

nargiza kibabidze

Digitally signed by nargiza kibabidze
Date: 2023.03.20 10:57:23 +04'00'

№	დასახელება	ზომა	რაოდენობა (ცალი)	ერთ ღირებულება (ლარი)	საერთოთანხა (ლარი)
1	მინი ფეხბურთი მაისური,შორტი		20	43	860
2	ფრენბურთი(გოგონები,ვაჟები) მაისური შირტი		20	43	860
3	ხელბურთი(ვაჟები, გოგონები) მაისური,შორტი		20	43	860
4	კალათბურთი (ვაჟები) მაისური,შორტი		8	43	344
5	მაგიდის ჩოგბურთი(ბიჭები,გოგონები) მაისური,შორტი ლოგოტიპებით		8	40	320
6	გეზრბენი(ვაჟები,გოგონები) მაისური ,შორტი		8	40	320
7	მხიარული სტარტები(გოგონები,ბიჭები) მაისური,შორტი ლოგოტიპებით		14	40	560
	სულ		98		
	ჯამი:				4124

თანხა სიტყვიერად 4124 (ოთხი ათას ასოცდაოთხი)

საქართველოს ფოლკლორისა და ტურიზმის
განვითარების ცენტრის
დირექტორი: nargizakibabidze Digitally signed by nargizakibabidze Date: 2023.03.15 15:38:00 +04'00' / ნ.კიბაბიძე/

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი
ბესიკ ბასილაია

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

2023 წლის 20. აპრილი.....

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 მარტის #43/258 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრები ვადასტურებთ რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით მთელი ქვეყნის მასშტაბით, უკვე მეხუთე წელია ტარდება „საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა". ოლიმპიადის ფორმატით მუნიციპალური თამაშები ჩაატარა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა 7 სახეობაში. კერძოდ: მინი-ფეხბურთი (ვაჟები, გოგონები), კალათბურთი (გოგონები, ვაჟები), გეზრბენი (გოგონები, ვაჟები), მაგიდის ჩოგბურთი (გოგონები, ვაჟები), ფრენბურთი (გოგონები, ვაჟები), ხელბურთი (გოგონები, ვაჟები), მხიარული სტარტები. მუნიციპალურ თამაშებში გამოვლენილმა ჩემპიონმა გუნდებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ რეგიონალურ და ზონალურ თამაშებში სპორტის ზემოთაღნიშნულ სახეობებში, შესაბამისად საჭიროა გუნდის წევრებისათვის სპორტული ფორმების (საქონელი) შესყიდვა, აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში საქართველოს ფოლკლორისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი „ნატალი"-ს დირექტორთან ნარგიზა კიბაბიძესთან.

ვასილ გველესიანი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი

---

1. ერემია სალაძე (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი)----------
2. ნუგზარი ფერაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)----------
3. გიორგი ორჯონიკიძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)----------
4. დავით საცერაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)----------
5. თეიმურაზ ფერაძე (სამუშაო ჯგუფი წევრი)----------
6. მაია ხვედელიძე (სამუშაო ჯგუფის დროებითი წევრი)----------

წერილის ნომერი:04-222307628
თარიღი: 17/03/2023

ადრესატი:

ვასილ გველესიანი
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის

ბატონ ვასილ გველესიანს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით მთელი ქვეყნის მასშტაბით, უკვე მეხუთე წელია ტარდება ,,საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა". ოლიმპიადის ფორმატით მუნიციპალური თამაშები ჩაატარა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა 7 სახეობაში. კერძოდ: მინი-ფეხბურთი (ვაჟები, გოგონები), კალათბურთი (გოგონები, ვაჟები), გეზრბენი (გოგონები, ვაჟები), მაგიდის ჩოგბურთი (გოგონები, ვაჟები), ფრენბურთი (გოგონები, ვაჟები), ხელბურთი (გოგონები, ვაჟები), მხიარული სტარტები.

მუნიციპალურ თამაშებში გამოვლენილმა ჩემპიონმა გუნდებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ რეგიონალურ და ზონალურ თამაშებში სპორტის ზემოთაღნიშნულ სახეობებში, რის გამოც გუნდის წევრებისათვის გვესაჭიროება სპორტული ფორმების შესყიდვა. სულ: რაოდენობა– 98 ცალი, საერთო ღირებულება– 4124.00 ლარი. რისთვისაც ჩატარდა მოკვლევები: (თანხის გახარჯვა უნდა მოხდეს ჩვენი სამსახურის სპორტის ღონისძიებების 2023 წლის ხარჯებიდან, CPV კოდი. 18412000 სპორტული კოსტუმები).

1) საქართველოს ფოლკლორისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი, მის: ქ. ქუთაისი, ვარლამიშვილის ქ. N16, დირექტორი ნარგიზა კიბაბიძე, სადაც 98 (კომპლექტი) სპორტული ფორმის საერთო ღირებულება შეადგენს – 4124.00 ლარს.(მოკვლევის ფურცელი 1)

2) შპს ,,ჯეოსპორტი", მის: ქ.თბილისი, მბროლაურის ქ. N166, კ.6 ბ.24, დირექტორი მიხეილ ზვიადაძე, სადაც 98 სპორტული ფორმის საერთო ღირებულება შეადგენს – 4350,00 ლარს (მოკვლევის ფურცელი 2)

3) ი/მ ნუნუ ხუსკივაძე მის. ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ 2. სადაც 98 (კომპლექტი)სპორტული ფორმის საერთო ღირებულება შეადგენს – 4350,00 ლარს (მოკვლევის ფურცელი 3)

გთავაზობთ ჩამონათვალს:

1. მინი-ფეხბურთის ფორმა- (ვაჟები, გოგონები) მაისური შორტით ნომრებითა და ლოგოტიპებით. ერთეულის ფასი – 43,00 ლარი, ვინაიდან სულ გვესაჭიროება 20 ცალი, ჯამში შეადგენს : 860,00 ლარს.

2. კალათბურთი- (ვაჟები, გოგონები) მაისური შორტით, ნომრებითა და ლოგოტიპებით . ერთეულის ფასი – 43,00 ლარი, ვინაიდან სულ გვესაჭიროება 8 ცალი, ჯამში შეადგენს : 344,00 ლარს.

3. გერზბენი (ვაჟები, გოგონები) მაისური შორტით, ლოგოტიპებით . ერთეულის ფასი – 40,00 ლარი, ვინაიდან სულ გვესაჭიროება 8 ცალი, ჯამში შეადგენს : 320,00 ლარს.

4. მაგიდის ჩოგბურთი - (ვაჟები, გოგონები) მაისური შორტით, ლოგოტიპებით. ერთეულის ფასი – 40,00 ლარი, ვინაიდან სულ გვესაჭიროება 8 ცალი, ჯამში შეადგენს : 320,00 ლარს.

5. ფრენბურთი (ვაჟები, გოგონები)მაისური შორტით ნომრებითა და ლოგოტიპებით. ერთეულის ფასი – 43,00 ლარი, ვინაიდან სულ გვესაჭიროება 20 ცალი, ჯამში შეადგენს : 860,00 ლარს.

6. ხელბურთი (ვაჟები, გოგონები) მაისური შორტით, ლოგოტიპებით. ერთეულის ფასი – 43,00 ლარი, ვინაიდან სულ გვესაჭიროება 20 ცალი, ჯამში შეადგენს : 860,00 ლარს.

7. მხიარული სტარტები- მაისური შორტით, ლოგოტიპებით. ერთეულის ფასი – 40,00 ლარი, ვინაიდან სულ გვესაჭიროება 14 ცალი, ჯამში შეადგენს : 560,00 ლარს.

აღნიშნული 4124,00 ლარის ღირებულების 98 ცალი (კომპლექტი) სპორტული ფორმები უნდა გადაეცეთ სასკოლო სპორტულ ოლიმპიადის რეგიონალურ თამაშებში მონაწილე, მუნიციპალურ თამაშებში გამარჯვებულ სხვადასხვა სასკოლო გუნდებს სასაჩუქრედ.

ვინაიდან, ქ.ქუთაისში, ვარლამაშვილის ქ.N16–ში მდებარე საქართველოს ფოლკლორისა და ტურიზმის განვითარების ცენტრმა დაგვიფიქსირა ყველაზე დაბალი ფასი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხელშეკრულება გაფორმდეს საქართველოს ფოლკლორისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორთან ნარგიზა კიბაბიძესთან.

საქონლის მოწოდება მოხდეს მ/წ 24 მარტის ჩათვლით. (ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მომწოდებელი მისამართზე - წერეთლის ქ. N11)

საბანკო რეკვიზიტები:

საქართველოს ფოლკლორისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი ,,ნატალი“

დირექტორი: ნარგიზა კიბაბიძე

ს/კ 212757701

საბანკო რეკვიზიტები:ს.ს. ,,თიბისი“ ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშის ნომ:GE87TB7648936020100004

***მისამართი:* ქ. ქუთაისი, ვარლამიშვილის ქ. N16**

ტელ.ნომ: 5 55 95 83 84 5 97 50 29 95

ელ.ფოსტა: nargizakibabidze@gmail.com

დანართი ,,3“ ფურცელი

მაია ხვედელიძე

განათლების,კულტურის,ძეგლთა დაცვის,სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური-სამსახურის უფროსი

ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი)

15.03. 2023წელი

სასკოლო ოლიმპიადის ფორმები
გამყიდველი:საქართველოს ფოლკლორისა
და ტურიზმის განვითარების ცენტრი.
მისამართი:ქუთაისი, ვარლამიშვილისქ.
N16

მყიდველი: ზესტაფონის
მერია

საბანკო რეკვიზიტები:„თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი

ანგარიშის N GE87TB7648936020100004
ს/კოდი: 212757701

№	დასახელება	ზომა	რაოდენობა (ცალი)	ერთ ღირებულება (ლარი)	საერთოთანხა (ლარი)
1	მინი ფეხბურთი მაისური,შორტი		20	43	860
2	ფრენბურთი(გოგონები,ვაჟები) მაისური შირტი		20	43	860
3	ხელბურთი(ვაჟები, გოგონები) მაისური,შორტი		20	43	860
4	კალათბურთი (ვაჟები) მაისური,შორტი		8	43	344
5	მაგიდის ჩოგბურთი(ბიჭები,გოგონები) მაისური,შორტი ლოგოტიპებით		8	40	320
6	გეზრბენი(ვაჟები,გოგონები) მაისური ,შორტი		8	40	320
7	მხიარული სტარტები(გოგონები,ბიჭები) მაისური,შორტი ლოგოტიპებით		14	40	560
	სულ		98		
	ჯამი:				4124

თანხა სიტყვიერად 4124 (ოთხი ათას ასოცდაოთხი)

საქართველოს ფოლკლორისა და ტურიზმის
განვითარების ცენტრის
დირექტორი: nargizakibabidze Digitally signed by nargizakibabidze Date: 2023.03.15 15:38:00 +04'00' / ნ.კიბაბიძე/

მ ო კ ვ ლ ე ვ ი ს ფ უ რ ც ე ლ ი N

მომწოდებელი: შპს ,,ჯეოსპორტი"

საიდენტიფიკაციო კოდი: 205272989

მისამართი: ქ.თბილისი. ს.ს. საქართველოს ბანკი BAGAGE22 ა/ნ № GE83BG0000000262769600

№	მასალის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთის ფასი (ლარში)	თანხა (ლარში)	შენიშვნა
1	მინი ფეხბურთი, მაისური შორტით. ნომრებითა და ლოგოტიპებით	კომპლექტი	20	45,00	900,00	
2	ფრენბურთი (გოგონები/ბიჭები) მაისური-შორტით. ნომრებითა და ლოგოტიპებით	კომპლექტი	20	45,00	900,00	
3	ხელბურთი (გოგონები/ბიჭები) მაისური შორტით, ლოგოტიპებით.	კომპლექტი	20	45,00	900,00	
4	კალათბურთი 3X3 (გოგონები/ბიჭები) მაისური-შორტით. ნომრებითა და ლოგოტიპებით	კომპლექტი	8	45,00	360,00	
5	მაგიდის ჩოგბურთი (ვაჟები) მაისური-შორტით. ლოგოტიპებით	კომპლექტი	8	43,00	344,00	
6	გეზრბენი (გოგონები/ბიჭები) მაისური-შორტით და ლოგოტიპებით	კომპლექტი	8	43,00	344,00	
7	მხიარული სტარტები- (გოგონები/ბიჭები) მაისური შორტით, ლოგოტიპებით.	კომპლექტი	14	43,00	602,00	სულ:4350

თანხა სიტყვიერად – ოთხიათას სამას ორმოცდაათი

თარიღი: 15/03/2023წ.

დირექტორი:

GEOSPORT

მოკვლევის ფურცელი N

მომწოდებელი ---------ილია ნუნუ ხუსოვაძე---------

საიდენტიფიკაციო კოდი ---18001006887 მისამართი ზუგდ. წერეთლის 2

ბანკის დასახელება --თიბისი ბანკი-- ბანკის კოდი --TBCBGE22

ბანკის ანგარიშის № GE86TB7051136010100112 ტელ 599608485

შემსყიდველი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია

საიდენტიფიკაციო კოდი: № 230087045 მისამართი:ქ.ზესტაფონი,წერეთლის №ქ.11

ხაზინის ერთიანი ანგარიში ტელ: (0492) 25 26 26

№	მასალის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთის ფასი (ლარში)	თანხა (ლარში)	შენიშვნა
1	მინი ფეხბურთი, მაისური შორტით. ნომრებითა და ლოგოტიპებით	კომპლექტი	20	45,00	900,00	
2	ფრენბურთი (გოგონები/ბიჭები) მაისური-შორტით. ნომრებითა და ლოგოტიპებით	კომპლექტი	20	45,00	900,00	
3	ხელბურთი (გოგონები/ბიჭები) მაისური შორტით, ლოგოტიპებით.	კომპლექტი	20	45,00	900,00	
4	კალათბურთი 3X3 (გოგონები/ბიჭები) მაისური-შორტით. ნომრებითა და ლოგოტიპებით	კომპლექტი	8	45,00	360,00	
5	მაგიდის ჩოგბურთი (ვაჟები) მაისური-შორტით. ლოგოტიპებით	კომპლექტი	8	43,00	344,00	
6	გეზრბენი (გოგონები/ბიჭები) მაისური-შორტით და ლოგოტიპებით	კომპლექტი	8	43,00	344,00	
7	მხიარული სტარტები- (გოგონები/ბიჭები) მაისური შორტით, ლოგოტიპებით.	კომპლექტი	14	43,00	602,00	სულ:4350

თანხა სიტყვიერად – ოთხიათას სამას ორმოცდაათი

დირექტორი: -ი. ხუსოვაძე

თარიღი: 15/03/2023წ.